ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებაში: გამოწვევები და შესაძლებლობები

ლიკა ჯარიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა : საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა კახიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025წ

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ლიკა ჯარიაშვილი

2025წ.

მადლობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას არაერთმა ადამიანმა გამიწია დახმარება, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს.

პირველ რიგში, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა კახიძეს, გაწეული დახმარებისთვის, მნიშვნელოვანი რჩევებისთვის, ჩართულობისა და მუდმივი უკუკავშირისათვის.

ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის ყველა რესპოდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში, დამითმეს დრო და დამეხმარნენ კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებაში.

ანოტაცია

ფისკალური დეცენტრალიზაცია სახელმწიფოს საერთო განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომლის საბოლოო მიზანიც ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის შექმნაა. ჩვენი ქვეყანა ფისკალური დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა და ეს პროცესი მნიშვნელოვანი გამოწვევების შემცველია. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება ფისკალური დეცენტრალიზაციის როლის განსაზღვრას ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების პროცესში საქართველოში მისი გავლენის შესწავლით ფინანსურ ავტონომიაზე და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებზე. ამასთან, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა და გამოიკვეთა ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე არსებული ის კონკრეტული გამოწვევები და ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის ამ პროცესის წარმატებულ განხორციელებას. ნაშრომში განხილულია საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის მხრივ არსებული სიტუაცია, სამართლებრივი ჩარჩო, ფისკალური დეცენტრალიზაციის ძირითადი პროცესები და შედეგები.

კვლევაში გამოყენებულია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდოლოგია და მეთოდები, სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების და ანკეტირებული გამოკითხვის სახით. ამასთან, გაანალიზებულია საკვლევ საკითხთან არსებული ლიტერატურა. ინტერვიუები ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტებთან, ანკეტირებული გამოკითხვის ფარგლებში კი კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თავად ადგილობრივმა თვითმმართველობებმა. კვლევის ფარგლებში საკვლევი საკითხის მრავალმხრივი გაანალიზების შედეგად, ძირითადი გამოწვევებისა და აღნიშნული გამოწვევების განმაპირობებელი მიზეზების საფუძველზე განისაზღვრა ის ძირითადი გზები და შესაძლებლობები, რომელებმაც მუნიციპალიტეტების ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდასა და, შესაბამისად, გაძლიერებას შეიძლება შეუწყოს ხელი. საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მხარისთვის.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა ფისკალური ავტონომია, გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებლობა

Abstract

Fiscal decentralization is a vital component of the overall development of the state, the ultimate goal of which is to create a strong local self-government system. The degree of fiscal decentralisation in Georgia in not high and the overall process contains significant challenges. The master's thesis adresses to defining the role of fiscal decentralization in the process of strengthening local self-government in Georgia by examining its impact on financial autonomy and decision-making capabilities. In addition, the study focused on and identified specific challenges and factors at the local and central levels that hinder the successful implementation of this process. The study reviews the current situation in Georgia, the legal framework, the main processes and results of fiscal decentralization.

In the study was used both qualitative and quantitative research methodologies and methods in the form of in-depth, semi-structured interviews and questionnaires. In addition, it was analyzed the existing literature on the problem of the study. The study involved local self-government experts, as well as local self-government bodies themselves through questionnaires. As a result of a multifaceted analysis of the problem under study, based on the main problems and causes of these problems, the main ways and opportunities were identified that could contribute to increasing and, accordingly, strengthening the financial independence of municipalities. Therefore, the mentioned study will be interesting for interested parties.

Keywords: fiscal decentralization, local self-governance, fiscal autonomy, independence in decision-making